- აღარც აფხანაკების პოლემიკა!
- თეატრს დავვიხურავენ...
- იავორსკის თეატრი აქ არ გვექნება? რუსულიდან გადმოქართულებულ პიესის მაგიერ, რომ თითონ ორიგინალი ვნახო, ვითომ რას წავაგებ?
- სკოლას წავგვართმევენ...
- აი დარდი! ვინც წაიღებს, იმან არ უნდა შეინახოს? ხომ სულერთია მაგის ხარჯი ვერ გავვიწვია.
- ბანკებს დავვიხურავენ...
- რაღლა გვინდა, თუ კი დასაგირავებელი აღარა დავგვრჩა რა?
- წერა-კითხვის საზოგადოებას...
- მერე შიგ რა ჰყრია? ძველ წიგნებს ერთ სახლიდან მეორეში გადიტანენ, რას დავკარგავთ?
- მოვიგებთ კიდევცა, სახლი არ გვექნება ასე შენებელი.
- სხვა რაა?
- ჰო, აბა რა გვაქვს?
- ბევრი ვეძებეთ, ბევრი ვიფიქრეთ, დასაკარგი არა ამოაჩნდა რა. გული დავიმშვიდეთ:
- მაღლობა ღმერთს! თუ კი აღარაფერი გვაქვს, ვერცარას დავკარგავთ.
- ჰო-და, რას გვიზამენ?
- ჭირი არ მოგვქამონ!



— ნუ იტყვი. უარესს მოიგონებენ .. ამოგვ-
 ამენ.
 — მთელ ხალხსა? ეგ შეუძლებელია.
 — ახლანდელ დროში შეუძლებელი არა არის
 — შენ ისა თქვი, რა ვიღონოთ, ვინცოდაა
 ცოცხალი გადაგვიწყვიტეს?
 — ქუდზე კაცი გამოვიდეთ!
 — ევროპა თოფებს გამოგვიგზავნის.
 — არა, ეგ არ ივარგებს. ეგ ნაციონალიზმი
 და, შოვინიზმი.
 — ჩვენი ხალხი როდი გამოგყვება
 — ქართლოსის აქეთ ოცდათი საუკუნეა ჩვე-
 ხალხი სულ უარპყოფს თავის ეროვნებას და
 თავის ებრძვის ავტონომისტ-ფეოდალებსა
 — არა ჩვენ ჩვენი ხალხის მისისას ვერ ვუმ-
 ნებთ!
 — მაშ ყელი მივუშვიროთ გამოსაქრელად?
 — ეგ გვიჩვენია. მაგრამ ისე უნდა დავიხო-
 რ, რომ ქვეყანას გულში ეჭვი არ შეუვიდეს,
 მც სამშობლოს თავი შევწირეთ.
 თუმცა სჯობს სიცოცხლესა ხაძრახსა სიკვდი-
 სახელოვანი, მაგრამ შოვინიზმის უარყოფისა-
 თავის გამომეტება არავის გვექაშნიკა. სული
 ღია.
 ამიტომ ყველას გულს ლოდი მოეშვა, როცა
 ეს სთქვა:
 — ჩვენ რომ ამოგწყდეთ, მერე ვინდა დარჩე-
 უნად თავის ეროვნების უარისყოფელი?
 — მართლა, მაშინ კაცობრიობა გაიჟღენთება
 ნიშნით.
 — დიახ, უთუოდ უნდა დავრჩეთ კაცობრიო-
 ბეებისათვის
 — როგორ მოვახერხოთ?
 — ინგლისის მეფეს მივართვათ პეტიცია.
 — რას ბრძანებ? ეგ ხომ ხალასი სეპარატიზმი
 და.
 — სხვა დროს — კი, მაგრამ ახლა, როცა მეფე
 ღილი დაგვიმეგობრდა, ჩვენს პეტიციას პოლი-
 ტიკური სიმწიფედ ჩამოგვართმევენ.
 — შექვევლია, მეფე ედუარდი წამოგვესარ-
 .. ასე ამბობენ, იმას ძიხად ქართველი დე-
 მოკრპოლია... და ასწავლის რუსეთს კოლონიურ
 პოლიტიკის პრინციპებს.
 — ვინ არ იცის, რომ მშვიდობიანობის დროს
 ხალხის ამოხოცვა ბარბაროსობაა?
 — ეგ კოლონიურ პოლიტიკის ანბანია...
 — ინგლისელებსავეთ კულტურისანი ხალხი
 ანა ხალხს მხეცურად კი არა ჟღერებს,—

თერიაქის წევსა და რომის სმას შეაჩვენეს სხვა და
 სხვა სენს შეტყურის და ხალხი თავისთავად, მშვი-
 დობიანად გაწყდება.
 — რა არის მაინც და მაინც ეს დალოცვილი
 კულტურა!
 — სად ინგლისის კულტურა და სად რუსე-
 თისა?..
 რუსების უკულტურობაზე სიტყვა რომ ჩამო-
 აგდეს, „გაადვილდა აქანამდის გარდგეხადა რაცა
 ჭირი.“ გავმხიარულდით და გავაბით ანეგლოტები.
 — რა იციან? რისი შნო აქვთ, რის უნარი?
 — ჩვენი ამოხოცვაც რომ მოინდომონ, ვერას
 გახდებიან. ხატებსა და პარტრეტებს გამოვიტანთ,
 სამფერიანს ბაირადებს გავშლით და პარაკლის ვა-
 წირვინებთ, მუხლ-მოდრეკით...
 — ერთს დეპეშას დავკრავთ, გვინდა ჩვენ
 ჩვენც ვიყოთ და სხვაცაო...
 — დიახ, ვაშა ნაშა—ნაშა ვაშა!
 — აბა რას გვიზამენ?
 — ჭირი არ მოგვჭამონ!
 საუცხოო გუნებაზე ვიყავით, როცა ერთმა
 წამოიყრანტალა:
 — ამოხოცვით კი არ ამოგხოცავენ,— გადა-
 გვასახლებენ ..
 — სადა, მანჯურიაში?
 — ვერ მოგართვეს მანჯურია, ველიჩკოს დრო
 წავიდა!
 — ვაჰ, რა დრო დავკარგეთ!
 — აფსუსს, აქამდის სულ ყაზახის აფიცრებად
 ვიქნებოდით.
 — სულ ძველი თაობის ბრალი კია.
 — ლიბერალებმა და პატრიოტებმა დაგვღუპეს.
 — მანჯურისას ახლა ვინდა გვადირსებს და ნე-
 ტა საით გვიკრავენ თავსა?
 — ყინვარე ოკეანისკენ. ტუნდრებში გადა-
 გვკარგავენ, სამოედებთან.
 — იქით რომ გადაგვასახლონ, ჩვენს ბედს და-
 ლლიც ვერ დაჰყვებს.
 — მართლა რომ მაშინ ავშენდებით. ყველა
 პოლიტიკურსა და სოციალურს ჭირსა და ვარამს
 თავიდან მოვიშორებთ.
 — აბა როგორ?
 — ჯერ ერთი, მიწა თავზე საყრელი გვექნება.
 სულზე გინდ ათასი დესეტინა დაიჭირე.
 — მაშ ეს აგრარული საკითხი, ეს მიწის ნა-
 ციონალიზაცია ვარო, ეს მუნიციპალიზაციაო,—
 მორჩა!
 — ყველას თავისი საკუთარი სახლი ექნება
 და ყველას ერთნაირი: ტყავის ალაჩუხი.

— არც სახლის ქირა, არც სუდებში თრევა.
 — ყველას ერთნაირი საქმელი ექნება: ირმის ხორცი და თევზი, ულეველი და მუქთი.
 — აქ კი დროში გირვანქა ათ შაურად გაწადეს — ხიზილალა სამ მანათად.
 — ირმის ხორცს სადღა ნახავ? გაგონებით კი გამიგონია, ირმის სუკები საგანგებო რამ არისო...
 — იქაურ ვეშაპის ხორცსაც გემრიელს ამბობენ.
 — ზღვის-ლორის ქონს ძალიან აქებენ.
 — ტანისამოსიც ყველასთვის ერთნაირი, სულ ბეწვეული: სიასამური, მელა, კვერნა...
 — ყველას ოთხას-მანეთიანი შუბა ეცმევა.
 — არაფრის მუშაობა.
 — მხოლოდ ნადირობა და თევზის ჭერა.
 — ეგ მუშაობა კი არა, ქეიფაა.
 — ყველას თავისი მარხილი ექნება, შეები გინდ ირმები, გინდ ძაღლები და იერი!.. ირბინე ჩრდილოეთის პოლუსამდე.
 — იიიჰ!.. მე და ჩემმა ღმერთმა, კეთილი ცხოვრება თუ გინდა, იქა ყოფილა.
 — რაღას გვატყუებდნენ ჩვენი პოეტები: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისაა?!..“
 — მაშ რიდასი ფეოდალები იქნებოდნენ, თუ ხალხი არ მოეტყუილებინათ.
 — ახლა საზოგადოებრივი ცხოვრება ნახე.
 — სრული თანასწორობაა: არც აზნაურია, არც გლეხი, არც ბურჟუა.
 — ყველა პროლეტარია.
 — თავისუფლებაც ისეთია, რომ სხვაგან ვერსად ნახავ.
 — გუბერნატორი კი არა, პრისტავი რა არის,
 — უკანასკნელი პრისტავიც არ მისულა თავის დღეში იმ მხარეს.
 — სწორედ ჩვენი ავტონომისტების სამოთხე ყოფილა.
 — ავტონომიაც იქ არის, ავტოკეფალიაც.
 — იქ მღვდელს წამლადაც ვერ იშოვნია.
 — ყველას თავისი ღმერთი ჰყავს სახლში და იმისი მღვდელი და კათალიკოზიც თითონ სახლის პატრონია.
 — ნაციონალიზმზე და შოვინიზმზე როგორ-ლა არიან?
 — რისღა ნაციონალიზმი, თუკი გარშემო სამოედების მეტი არავინ გეყოლება.
 — სწორედ საჩვენო ქვეყანა ყოფილა. იქ სამოედები კი არა ჩვენ უნდა ვიცხოვროთ.
 — მაშ, ნამდვილი სამოედები, თავის-ქამია და

თავის მკვლელი ხალხი ჩვენა ვართ!
 — ჰო-და გადაგვასახლონ რა!
 — ვითომ რას დაგვაკლებენ?
 — ქირი არ მოგვკმონ!

რიშ-ბაბა

მაგალითათ ამ ჩვენს ქალებს.

ერთი ამბავი მაწუხებს, მწარეთ მიჰირებს მარწუხებს. — სუყველას მოგთხოვ ამისას განმარტებას და პასუხებს.
 განათლებამ რა შეგვიძინა: — გაგვალვიძა, მიგვიძინა, წინ წავედით, თუ ისევე ძველი ბავა, ძველი ბინა.
 მაგალითათ ამ ჩვენს ქალებს — ვუფროთხილდები კი ჩემს თვალებს, უსათუოთ დამკაწრავენ ან შემყრიან ხათაბალებს...
 დაუქინიათ კურსები...
 არც ჩვენი, აღარც რუსები!.. ვაი, საბრალო მშობელო, ვალითაც რო იყურსები.
 ხედავ ნორჩ და ქალწულ ბავშვებს ჰკითხულობენ არციბაშეებს, და სანანი თავის ნებას ანავარდებს, ათამაშებს!
 კამეწსკი და მუიჟელი არ გიკითხავს ნეუჟელი?! — ერთმანეთს ეკითხებიან...
 სხვა მუსაიფს შენ ნუ ელი!
 ნუ თუ ამას დრო ავალებს ჩვენს ნაზსა და ლამაზ ქალებს?!
 განათლებამ ეს შეგვიძინა?!...
 ვაი, ჩვენს თავს და ჩვენს თვალებს!
 თამა ჰუსა

პროკიმინაშიის მახსნა დ. სურამში

თუმცა შეუბრალებელი რეაქცია ხალხს მიგასწორებს უქადის და არაფერ საშუალებას არ რომ იგი არარად აქციოს, მაგრამ ხალხი შინგ რად განაგრძობს მასთან ბრძოლას და ერთ წამს სტდებს გამანახოს მიზეზი თავის დაავადებულ ბასს, რომ ძიქში მოჭკუუთოს იგი და მით თავი მრავალგვარად გზას დაადგეს; ხალხმა უკვე შეიგნო, ერთი დაუძლეველი მუბრძოლი გამეუბრულ არის მხოლოდ სწავლა-განათლება, რომელსაც ძალე

რის ჯაჭვი მონობისა და მით თავისუფლება, მრთელ და სიუფარული გაამეფოს. აი ამისთვის არის ხალხმა მაგრად ჩასტიდა ხელი სწავლა-განათლებას სიკეთად ეკიდება მის გავრცელებას, იშვიათად შეხუ- ქართულ გაზეთს, რომ სიდიანზე არ გვეწოდნენ— და ამ ადგილას სამკითხველო გაიხსნა, სასწავლებელი გაიხსნა, სხვა და სხვა კითხვებზე ხალხი ლექციების შესას თხოულობს და სხვა

აი სწორედ ამნაირ ჯურ ხალხს წარმოადგენს ჩვენი სურამის საზოგადოებაც, რომელიც მთელად მკვლის ზრგომნაზიის გახსნას თავის მი და დაჟინებით სთხოვს, თავის მწინავე საზოგადოების წევრებს, ხელი შეუწონ ამ გვარ დიად მის განხორციელებას; საზოგადოების წინადადებათი გვერდითა ურადდება გამიწვია ზოგიერთ მწინავე მისა და კიდევ შეუდგენს საქმის ვითარებას; ძალიან მთად მოჰკიდა ხელი ბ. გ. ჯ. მაჭავარიანმა, რომელიც სანქაროდ გადასცა წ. კ საზოგადოებას საერთო ხელი ხალხისა და სთხოვა მალე გამკვე გამოეჩინათ მალე სასწავლებლის მოსწავლად და საწინამძღოლოდ; მაჭავარ ამისა წ. კ. საზოგადოებამ ამ სკოთხს რომელიც გვერდზე დაუწყო ტექრ და იმის მაგივრად რომ, მალე მონაწილეობა მიეღო ამ სკოთხის გადაჭრაში, რომელიც გვერდზე გადადგა და შორიდან სხვა და სხვა მასწავლებლებზე მიუთითა; ამის შემდეგ, მეტი არ იყო, საზოგადოების წარმომადგენლებიც იძულებული იყვნენ თვითონ გამოეძინათ მასწავლებელი და ხან მისმართადენ ხან ვის, მაგრამ უკვლასკან ერთი ზისმოდა: „ისე არ გამჭარებია საქმე, რომ სურამის მას გამკვე წამოვიდო“.

რასაკვირველია, ასეთი ზასუხი როგორც შორს ისე მისმავალ იმედების გამაქარწელებელი იყო, მაგრამ მადგენელნი მაინც იმედს არ კარგადენ და მუყაი- განაგრძობდენ დაწეებულ საქმეს; ბოლოს მიმართეს მისის სუმენარიის მასწავლებელს ბ ვართაგავს, რომელიც განაცხადა სურვილი და მასთანვე ადგილობრივ მისის განცხობა მოისურვა, რისთვისაც, მასთან ერთად თავის ზირველს, გვესტუმრენ ქართული გიმნაზიის მისებლები ბბ. ა. ს. მიქაბერიძე და ს. ჯ. იაშვილი, მისების თანდასწრებით მოხდა მთელი საზოგადოების მის კრება, სადაც მთელმა საზოგადოებამ ერთხმად გადასურვილი ზრგომნაზიის დაარსებისა; აქვე მისე გამკეობა თერთმეტი კაცისკან შემდგარი, მისებ უნდა ხელი შეუწონ სასწავლებლის გახსნას. მისებ უნდა ენკენისთვიდან გახსნან ზირველი სამი მისებ, სადაც სწავლის ფასი დაწესეს ზირველ მისსამზადებელ განუოფილებაში 20 მ. მხოლოდ მისებ რომ განუოფილებაში სამ სამი თუმანი, გიმნაზიის მისებში კი ოთხ ოთხი თუმანი; აქვე გამოიანგარი-

შეს სასწავლებლის საერთო შესავალ-გასვლის ფული და კრებად დაიხურა; ამის შემდეგ შესდგა არჩეულ ზირვო- მხლანაზიება, სადაც საქმის უმთავრეს დამატკელებელ მიზეზად იქნა აღიარებული მხოლოდ უმასწავლებლობა, რისთვისაც არჩეულმა ზირებმა ერთხმად სთხოვეს ბ. ი. ზ. ვართაგავს, მაგრამ აქ ბ. ვართაგავამ გადაჭრილი უარი განაცხადა, რის შემდგომ სკოლის გამკეობამ გადასწვიოტა ჯერ-ჯერობით მასწავლებელ ბ. იაშვილის სახელზე ნება- თვის აღება და შემდეგ კი მასწავლებლის— გამკის გამოძიება.

სე დამთავრდა ზირველი კრება ზრგომნაზიის გახსნის შესახებ და ჩვენი სტუმრებიც მასწავლებლები ისევე უკან თბილისს დაბრუნდენ იმ ზირობით რომ, ზრგომნაზიის გახსნის ნება-როფა აიღონ ამ ხალხი მისმავალ- ში, რასაც მოუთმენლად მკვლის როგორც არჩეული ზირნი ისე მთელი საზოგადოება.

„საქმე ისე არ გამჭარებია სურამში მასწავლებლად წამოვიდო“-ო, გვიხასხეს იმით ვინც საუკეთესო წევრია ჩვენ საზოგადოებაში.

ნუ თუ ამის შემდეგ უფლება არა გვაქს უკიჟინოთ იმით ვინც სიტყვების რახა რუხში იზილება—და საქმეს კი განზე გაუბრძის? ნუთუ სოფლად მასწავლებლობა დიდ გმირობად და გაბედვად არის მიჩნეული! ნუ თუ ჩვენ ვაღდებულებას არ შეადგენს ხელი გაუშვიროთ ამოღენა დაბედშავებულ გლეს-კაცობას, რომელიც სიბნელეში გან- ნანგრძობს უოფაცხორებას და უკანასკნელ შეკლას მხოლოდ ჩვენგან და მკვლის? არა, ბატონებო, საჭიროა თქვენი მოდგაწეობა სოფლად გადმოიტანოთ ს:დაც დაუფენებლად შემწეობას მოითხოვეთ დღეს გლესკაცობა. სწორეთ სოფ- ლად უნდა ჩაუდგეთ საქმეს სათავეში და იქ განაგრძოთ მუშაობა, თორემ ქალაქიდან ძვიროფას აზრებით „კამანდო- ბა“ გერავერ სარკებლობას მოუტანს უმეტარ გლესობას. **საჭიროა იმოქმედოთ საქმით, სიტყვა უსაქმოდ ფუჭია!**...

გ. მოუსვენარიძე.

ზ რ ო ვ ი ნ ც ი ა

—:—

ძ. თელავი. ნახული და გაგონილი მაგონდე- ბოლა კახეთის სატახტო ქალაქ თელავის სიმშენიერე, მისი სახელ-გათქმული ნადიკვარი, სუფთა ჰაერი, ცივი ნიაგი, ანკარა წყლები, გრილი ბულვარი და ლამაზი... უკაცრაოთ კინალამ წამოძლია მაცდურმა, თელავის მიდამოები.

ამასთან მომბეზრდა თბილისის დაცემული ცხოვრება, სიტყვ-პაპანაქება, ტრამვიის გრიალი, ხალხის მუღმივი მოძ- რაობა და თუმცა აღთქმა მქონდა, ვიღრე თავად-აზნაურობა კახეთში რკინისგზას არ გაიყვანდა, თელავში არ წავსული- ყავ, მაგრამ დედა ჩემიც ამ ბოლო დროს არ მასვენებდა: „უთდ სიზმრებში ვარ, დამე ლონგინოზ მღვდელი მეცხადდე- ბა, ჩქარა ჩამოდი წყაროს თავი უნდა გილოცოვო“ და მეც ედიგაროვის დილიჯნებისაკენ გავემართე წასასვლელ ბილე- თის ასაღებად, მაგრამ ისეთი ცივი უარი მტკიცეს, რომ ვერ-

თის მხრით ვიფიქრე, იქნება კახეთის რკ. გზამ მომისწროს-კიდევ მეთქი და გავფიქრე ბელინსკის ქუჩისკენ. მაგრამ დე-პუტატთა საკრებულოში ილიკომ იმედი გამოიკრუა და ისევ ედიგაროვს მივმართე.

დილიჯნების კანტორაში ბილეთის მსურველი ბევრი იყო, თავისუფალი ადგილი-კი არა. თუმც მოთხოვნილება დიდი ყოფილა, მაგრამ დილიჯნებს მეტს არ უშვებენ, ან რა ეჩქარებათ, ამოდენა ხალხი ფეხით ხომ არ წავალთ და ისევ ამით უნდა მოეცადათ, თუნდა სამი-ოთხი კვირა მოგვიხდეს ლოდნაო, შემომჩვილა ერთმა მგზავრმა.

როგორც იყო ავიღე ბილეთი და ერთ ავდრიან ბურუსიან დღეს ყველაზე ადრე მე გამოვეცხადდი. მალე იმდენი მგზავრები შეიყარნენ რომ ხუთს დილიჯანს ეყოფოდა. ამისათვის ისე მიგვეყარეს როგორც ფინხული, ზოგი კოფოზე დაჯდა, ზოგი სახურავზე, ზოგი ცხენებზე გადასხეს, ზოგი კონდუქტორმა შეისო მხრებზე და ამნაირი ზეიმით და ამალით წამოგვიყვანეს თელავისაკენ. ვაი ამისთანა წამოხვლას, გზაზე ხან გადაბრუნდა ჩვენი დილიჯანი, ხან ცხენები დაუდგათ და ფეხით ვიარეთ და დილით გამოსული, საღამოს 10 საათამდე ძლივს მივაღწიეთ თელავს.

ღამე „საოჯახო სასტუმროს“ პატრონი მეტად გულუხვად დამიხვდა, მაგრამ მეორე დღეს რომ გიორგიმ ანგარიში წარმომიდგინა, ჩემი თავი თელავში-კი არა, პეტერბურგში მეგონა. მაშინვე „ჟურნალისტის ბაზმორთი“ უჩვენე, იქნება შეეშინდეს გაზეთისა და „სკიდა“ მიყოს მეთქი, მაგრამ ის სათვალეებიდან „პლუტურად“ გამოიყურებოდა და სადილოსთვის უარეს სჩოტს მიმზადებდა.

უკაცრობთ მკითხველო, მე თელავზე „გიდაკლადებით“ და ჩემ მგავრობაზე-კი მოვაყოლე. დიახ, კიდევ კარგი ყოფილა თელავი ზაფხულობით.

დილით აფთიაქის მაღაზია, სადაც ბლომად იკრიბებიან უსაქმურები და ერთმანეთს ახალ ამბებს უამბობენ, თუმცა ამ ბოლო დროს, რაც თ.-აზნ. ვაზის წამლებს სკლადი განხნა, არისტოკრატამ იქ დაიდო ბინა, რაზედაც მიხაკო პროტესტს აცხადებს, ჩემ მაღაზიას უპირატესობა უნდა ჰქონდესო. მაღლა „უქმაძეები“, დაბლა პადვალში „ლხინიკოები“, მეტი რაღა უნდათ უქმაძეები რომ უქმათ და უფულოთა ქეიფობნენო. როცა მაღაზიას მზე მოადგება, მაშინ ბულვარში გადადიან და მეც თან გადამიყვანეს.

საინტერესო ყოფილა, როცა ბულვარნი სახელ-განთქმული კომიტეტი დაბურულ ცაცხვის ქვეშ შეიკრიფება თავის თავმჯდომარე მდივნის თანადასწრებით და გააქეთ-გამოაქეთ მთელი თელავი. თუმცა ამ ბოლო დროს ამ კომიტეტს დიდათ აფიქრებს ის გარემოება, რომ ასეთ დიდ მეტოქეობას უწევს სხვანაირი კომიტეტი, რომელსაც ხალხს ყველაზე უფრო ეშინიან.

ამისთვის ბულვარნი კომიტეტს ლაპარაკი აქვს, რათა თავიანთი „პრესტიჟი“ ადადგინონ, ფორმა შეიცვალონ: შავი შლაპა და ხალათი, გრძელი თმა, როგორც დონ-კიხოტმა, მწუხარე რაინდის სახე მიიღონ, გლეხებს ფულები დასტყუონ, ვაჭრებს ვეჟილიები გაუსაღონ, მუშებში ფულები მოკრიფონ და თვით ჩაიცვ-დაიხურონ და იქეიფონ. თუ ამ საშუალებამაც ვერ გასტრა, მაშინ სოფლებში წავლენ, გლეხთ უქადაგებენ: მებატონეს არაფერი მისცენ და მის ზვედრ ნაოთხალებს თვით წამოიღებენ. მოხელეებს ქათამი აღარავინ დაუკლას, და თვით კი მცხვარიც და გოჭიც დააკვლევინონ. ამ პროექტს მომხრეები ბევრი გამორჩენია და იმედიც აქვთ რომ „ცხოვრებაში გაიყვანონ“...

საღამ-საღამობით ბულვარს ახალგაზრდობას უთმობან ამ დროს მთელი ბულვარს ხეივანები მწყვდინებენ ისე რომელნიც სამ წრედ გაიყოფებიან ხოლო ჯერ დაწვილი ბი შუა ხეივანზე სეირნობენ, ცოლ-შვილიანები განთქმ-ზემო ხეივანზე, რადგანაც ახლად ფეხ ადგმულებსაც ასე ნებენ და ეშინიანთ არავინ გაჰყლიტოს. ხოლო ახალგაზრდნი მესამე—ბნელ ხეივანებში, სადაც არც ფარანია და გამვლელ გამოვლელთა ფეხი ხვდებათ. ამ ხეივანს ბევრი სწავლეებიც ეტანებიან თურმე, რა თქმა უნდა, ორივე სისინა.

ბურვალში როცა სეირნობა გაჩაღებულია, სწორედ დროს გამოვლის თბილისიდან მომავალი დილიჯანი და მთლი ხალხი დილიჯანებისკენ იზამს გრიალს რომლის შემოქმედება გაზეთების კანტორაში გადადის, მაგრამ აქ ხალხრივლ ნაკლებ ეტანება.

მეც გაზეთების მოსვლის უმაღლე კანტორისკენ გავი-ჯერ არც-კი შევესულიყავ რომ კანტორიკი მომვარდა ყურში ჩამახა „ეს დეკური“ გინდა თუ „ეს ფერულ“ ამ სიტყვებზე ისე შეეჭრითი, რომ პირზე ხელი დავაფარე შეშინებული მივიხედე პოლიციელი არსად იყოს მეთქი. გრამ შემატყუა რა რომ შემეშინდა, გადიხარხარა: მაშ ვქნა, პაპავ, მემდურებიან ესდეკურ გაზეთებს არა ჰყიდისო დიდის თხოვნით მთხოვა ერთი შენ მაინც გამისაღეო, არა, ლო, რაღა დროს ჩემი ეშმაკის გზაზე სიარულია—მე თუა უხე, სწორედ ამ დროს კანტორაში ვიდაც ხალხთ ბიჭი შემოვიდა. ჩემმა შესაუბრემ ხელით მანიშნა—ნურაფ იტყვიო და მეც დაეზუმი, თუმცა ეხლაც ბევრი მაქვს საქმელი, მაგრამ ზოგი შემდეგ იყოს.

ერთი—კიდევ.

ს უ რ ა მ ი. აძაშკრი აჰპარგი დაიწყო სეზონი. მწვა ხალხი, თუმცა იმდენი არაა რასაც მოველოდით. შარამ ამ დროს სადგურზე გასავლელი ადგილი არ იყო, ეხლაც გითაც კარგად გაივლი. წრეულს მეეტლეები, რამდენიც და, მხოლოდ შარშანდელ ვაჭრობასთან ერთად ზრდილობა გაყოლიათ. აგარაკი ბევრად არ მატულობს, სულ ორთლი მოსჩანს ახალი, ამის გამო სახლების ფასები, ჯერ-ჯერობით ძვირია, იმედია სულ ადრე დაიწვეს.. წრეულს მიყურადლება მიუტყვევიათ ქუჩების (იწინდისათვის—ესეც) ჯერობით. სანოვაგე ძვირია, შეშა კი-იაფია.

გასართობმა იმატა: ერთის მაგიერ ორი პროექტორივე ხახა მშრალი უყურებენ ერთი მეორეს. ლატრევის პარკი წრეულს უფრო გამოცდილ-განლებს აუღია, ესენიც ემდურებიან თავიანთ ბედს, ხალხს დადისო. საღამობით უკრავს „გურულების მუზიკა“ რაში სამს დღეს დანიშნულია ცეკვა. ყველაზე მეტი გაზლობა...

ხშირად ნახამთ რომელიმე ხის ძირში, ახალგაზრდნი, ვარდივით გაფუხქნული-მკრთალი—ჩახუზუნ-ჩახუზუნ ბული, სტკებოდდეს შავგვრემან ყმაწვილის სიყვარულს ან ცხოვრებისგან დაჩაგრული ქალი, რომელიც დღეს სიამოვნების გულისათვის გათხოვდა, დღეს თავისუფლად ვრია გულზე თავის სატრფოს და წინდა ჰაერზე ისევ სეირნობა პარკში იწყება საღამოს ექვს საათზე. ტონდაში პატარა სცენაც არის, ჯერ აქ წარმოდგენა ყოფილა. კერას, შიკლი ს ადგილობრივ პროგიმნაზიის რგებლოდ გამართავენ საღამოს. მატარებლების მიმოსწრეულს უკეთ არის მოწყობილი. სასტუმრო აქ ორი-



დღეებში გამოიჩეკა. სიძვირე ორივეში ერთნაირია. საღ-
რზე სეირნობა შეწყდა—რადგან ჩვენ აგარაკს ეს თუთხმე-
დღეა ცხვირ-პირი ჩამოსტირის.

ბიჭი-ბიჭი

ცხინვალის აქაური ბიჭ-მარამი. ბედნიერია ის
ბიჭი, რომელსაც თვალი და ყური მოურიდებია სოფლი-
თის და მისი აგსა და კარგსა არ ხედავს. მის აუტანელ
სა და ვარამს არ იზიარებს. ის, რა საკურველია, თავის-
და ბედნიერია. მაგრამ ათას ნაირათ ნაწვად-ნაგვემი სოფე-
რომელიც იოზის მოთმინებით იტანს ყოველივე მასზე
უბედურებას დიხსაც საბრალოა. აგერა ეს მეოთხე
ლოწადია ძალზე იტანჯება ჩვენი სოფლელი. ოთხი წელი-
თი ოთხი თვე ხომ არ არის, რომ გულ დამშვიდებით
ტანოს ათასი კარხედ მიმდგარი უბედურება სხვა და სხვა
ბიჭის ხალხისაგან, თუ მართლა ხალხი დაერქმის იმ ნამუსზე
აღებულ ადამიანებს, რომლებიც უსიტყვილოთ აფათუ-
რებ წაბილწულ ხელებს საცოდავი გლეხის ჯიბესა და
ში სულსა და გულში.

ათას ნაირ გაჭირვებასთან დღესდღეობით გლეხი შიმ-
ისაც უმკლავდება, მაგრამ ვაი ამითანა გამკლავებას.
სხენებთან ვალითა და ვახშით შეტანილ ჭირნახულს მოვა-
წილებს და იგივე განსაცდელი მოვლით ზოგიერთებს
იც. ამიტომ დიდად საჭიროა რაც შეიძლება მალე უზრუნ-
ველ გლეხი რომ ახალი განსაცდელი არ დააწვეს თავს.

ამას წინედ ცხინვალის საგეს იყო ოსებთა და ქართვე-
ლთა. ეს შეკრება ხალხისა იმისი გახლდათ, რომ აგერა
მე ექვსი თვეა ხალხი თავის გაჭირვებას შესწივლის შიმ-
ისა გამო და როგორც იქნა ეღირსენ სწორეთ ამ დღე-
რომ ეს დამშეული ხალხი დაეკმაყოფილებინათ; ამ დღი-
თის განგებ იყო ამოსული მომრიგებელი შუამავალი

ბიჭი ერისთავი და ჰადატნი ინსპექტორი, სადაც ორი
რგვას ფუთამდის ფქვილი დაურიგეს სხვა და სხვა სოფ-
ლებს: უმრავლესობა ოსები იყვნენ. ოჯახში დიდხედ ერთი
თი მისცეს და პატარებზედ ნახევარი ფუთი. ისე დღე არ
რამდენიმე გლეხი არ დაიარებოდეს ტომრით ხელში
ჭირნახულს არ დაეძებდეს. სწორეთ საცოდაობაა. რამდენ-
ე გლეხი ვნახე ნახევარ ფუთისა და ათი გირვანქა სიმინ-
ე მიღველი. რომელი იჩივლოს საცოდავმა-შიმშილი თუ
დენა. აქაურ სასწორზედ და მესასწვრებზედ ბევრ რასმე
მარაკებთან, მაგრამ ლაპარაკი სხვაა და თვალით ნანახი
ულ სხვა, რასაც შემდეგში მოგახსენებთ.

ჭირნახულები ქერი და პური ალაგ-ალაგ ძალიან კარგია,
ლა ალაგ-ალაგ არწვარვა. სიმინდები კი ვგონებ კარგი უნ-
დას როგორც ხაშურ სურამისკენ ისე ცხინვალის მიდა-
ში. ვენახებსაც მშვენიერათ ასხია, თუმცა შარშანდელი
ვალისც ბევრია. არავის ახსოვს გორსა და ნამეტან ცხინ-
ვი კახური ღვინო მოეტანოს ვისმე და ახლა კი ოცობოჭ-
ით მოაქვთ, მაგრამ აქაური კუჭი კახურს ვერ ეწყობა.

არ იქნა და ქურდობა ავ-კაცობას ბოლო არ მოეღო:
დღელი ერთობის მოტრფიალენი დღეს აშკარა ყაჩაღებათ
მტყნენ. თუმცა ერთი ბელადთაგანი ტატე კორაწვილი
მურეს საიჭიოს. ვნახოთ სხვებზედ იქონიებს რასმე გავ-
ს თუ არა.

ღრობითი მეთვალყურე.

მარქსისტი და გლეხი

(მ-ბაძვა)

ეროვნული

მარქსისტი გლეხთან შეტაკებისას
უთხრა: „ნუ მიტყქერ პტრუჟადად,
რაცა გაქვს აქ მოიტანე,
გავიფოთ შეგობრუჟადად.“

მიწა ან სახლი რათ გინდა
მოეფევი ჩემსა რწმენას;
„წის თუფსა“ თუ არ გადინდი,
ნუღარ ესწრაბი კრებსას!

დრკება გამოიცვალა,
ჩვენც გვინდა აგრძობა;
შურის სიძვირემ, კრისისმა
კვლავ შემაყვარა ღმრისა!

შენ თვითონ მსედავ, ადარ ვარ
იგი რაც წინათ ვიყავი;
„ნიშადურისა“ კანლებმა
ჩვენ გაგვხდა უაღბო ტყავი!

გლეხმა მიუგო: „ვერ მსცდენ,
გიტნობ რაც შეილი ბრძანდები,
ათასგვარ დაწირებითა
აწ ადარ ჩავგვარდები!“

თუმც ტყავი მართლაც გაგაძრეს,
მაგრამ იგივე გაქვს რწმენა;
გეუფა ძამივ, რაც წმასე,
რაც შეგვაცდინე ჩვენსა.

გეუფეთათ თრგოვ ქანკები,
ჭირს წაუღისათ უეკლას,
დღეს არც ჩვენს ვართ ის გლეხი,
ტყავს რომ გვადრბდით ნელას!

ტიტიკო მგელაძე.

ალთა-გალთა.

ორი რაჭველი, ევგენა და გრიგოლა შეხვ-
დნენ ერთმანეთს აფთიაქის წინ, ევგენა იპატიუებს
გრიგოლს.

— გრიგოლა, გრიგოლა ქვე ოტკას არ დაღვე?
— ქვე რატომ არ დაღვე, ჩემო ევგენა გაყავი ქი!
(შედიან აფთიაქში ევგენა პროვიზორს მიმართავს)
— ქვე შენი ქი, ერთი შაურის ოტკა და-
გვისხი

რუსი პროვიზორი ცდილობს გაიგოს რას
სთხოვენ და ეკითხება:

— Что?
— შტოლი ქვე რად გვინდა, შენი ქი — ისეც
კარგათ დავლევთ, ეხუმრება ევგენა.
პროვიზორი ძლივს მიხვდება და გაბრაზებით
ეტყვის: НѢЛЬЗЯ! уходи!

— უხადი გინდა თუ ნახადი? ღიმილით ეკი-
თხება ევგენა გრიგოლს.

ბოლოს საქმე იმით გადავდა რომ ორივენი
კინწის კვრით გაისტუმრეს.

პეტრუშკა.



არ ვიცი რა გზას დავადგე, რომელი უკეთესია? საბედისწერო მემრისი, რომელ მხარეზე სთესია? მარჯვნივად მოსჩანს სინათლე, იქ გაშუქ-გაბრწყინვებულა, მარცხნივ კიდევ სიბნელე—წყვედიანი გამეფებულა...
გრი—გრი.

მებრძოლი ვაჟკაცი.

გაზაფხულის ერთ სიცხიან დღეში ერთ სოფელში მიტინგზე თავი მოუყარეს რამდენიმე სოფელს. ქალაქიდან უნდა მოსულიყო „კნობილი“ პროპაგანდისტი, რასაკვირველია ეს დეკი.

დრო გადიოდა. პროპაგანდისტი კი არსად სჩანდა. მზე თანდათან უფრო ატრუნებდა და სწვავდა იქაურობას. ხალხი იტანჯებოდა სიცხისაგან, გარშემო არც ჩერო, არც წყალი. ერთად ერთ თუთის ხის ქვეშ თავი შეეფარებინა ათიოდ კაცს, დანარჩენები მზეზე იდგნენ და მოთმინებით ელოდნენ, როდის უბრძანებდნენ დაშლას.

ბოლოს როგორც იყო მოვიდა პროპაგანდისტი, ხალხმა თავისუფლათ ამოისუნთქა და გულს განთავისუფლების იმედი ჩაესახა. მაგრამ... მოტყუვდა.

პროპაგანდისტი ავიდა თუთის ხეზე და იწყო ქადაგება. გავიდა საათი, ორი, სამი... პროპაგანდისტი ლაპარაკით არ იღლებოდა და გათავებისა არა ეტყობოდა რა.

მზე კი სიცხუნეს თანდა-თან უმატებდა და იქ მყოფ გლეხებს თავის გაჩენის დღეს აწყველინებდა.

— არა, მაგას თუ არა მოუხერხეთ რა, მთლათ ამოგ-ვწყვეტავს ამოდენა ხალხს—სთქვა ერთმა მოხუცებულმა კაც-მა და ამ სიტყვებთან ერთად გარდღვია ხალხი და თუთის ხის ქვეშ მივიდა:

— უკაცრავად, ბატონო!—შესძახა ზევით ენა-მეტყველ პროპაგანდისტს.

— ვინა ხარ? რა გინდა?—შესწყვიტა ლაპარაკი პროპაგანდისტმა.

— უკაცრავად—დაიწყო მოხუცებულმა—მე ეს არის ეხლა გიახელით და თქვენი ლაპარაკი არ გამოგონია. ძან კი მინდა, რომ გავიგო და შევისმინო თქვენი რჩევა-დარჩევა თუ შეიძლებდეს, ბატონო, რაც ელაპარაკეთ ამ ხალხს, ახლ, თავიდან დაიწყეთ. რომ...

— რაო?!—შეჰყვირა პროპაგანდისტმა—სამი საათია, რაც ელაპარაკობ და ახლა თავიდან დავიწყო?! სად იყავი აქამდისინ? რა დავიბარეს, რატომ მაშინვე არ მოხვედი?

— მოვდიოდი, ბატონო, კარგა ხანია რაც სახლიდან წამოვედი, მაგრამ...

მეგობრული შარჯი



გრ. რომაქიძე ესტამალაზე ლექციის დროს

— მაგრამ რა?

— მაგრამ აი ამ სოფელში—გლეხმა ახლო მდებარე სოფლისკენ გაუშვირა ხელი—რომ ჩამოვედი, კაზაკები დავინახე...

— რას ამბობ, რა კაზაკები, სად არიან კაზაკები?

— დიახ, ბატონო, კაზაკები, ასი მეტი იქნებოდა, ვიდრე და სახლებს ჩხრეკდნენ, რალაცას ეძებდნენ. მეც მეშინდა, არ დამინახონ და არ მკითხონ, სად მიდიხარო აქამდისინ ერთ ხევეში ვიჯექი,—და ამიტომ, შენი ჭირიმე...

— დაიცა, რაებს ბოდავ, სულელო! სწორე სთქვი, სად ნახე კაზაკები?

— აი იმ სოფელში, ბატონო!

— აი იმ სოფელში?—ხელი გაიშვირა პროპაგანდისტმა.

— დიახ, იმ სოფელში...

პროპაგანდისტი კი არ ჩამოხტა, ჩამოვარდა თუთის ხიდან და გადავარდა.

— წადით ახლა, ხალხნო, სახლში და თქენს საქმედით—მოუბრუნდა მოხუცებული იქ მყოფთ.

ხალხი სიცილითა და ხარხარით დაიშალა და თავის სოფლებს დაუბრუნდა.

დამსწრე.

განცხადება

მამიჩი ვასილ წამათელი

ვიღებ შინაგანი და ბავშვთა სნეულობით ავადმყოფი დილის 9—12 საათ. და საღამოს 4—6 საათ.

ქუთაისი ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი, სადაც კოზაკოვის ქუჩა იწყება.

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.